ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2014-69

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 19. 08 2014 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი" მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21, სს „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ№ GE38TB1100000360200864 ს/კ 204862372
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს "ელექტრონი" მისამართი (იურიდიული): ქ. თბილისი გარდაბნის გზატკეცილი № 48; მისამართი (ფიზიკური) აგლაძის ქ. № 7/ა საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ანგ. №: GE45BG0000000222023300 ბ/კ BAGAGE22
(შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება გამარტივებული ფორმით შესყიდვაზე CPV 09200000:

მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზეთი ლიტრაჟობით – 2 ლიტრი (შემდგომში „საქონელი") შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი საქონლის შესაბამის თანხაზე, რომელიც შეადგენს 60 (სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   გ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
5. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 01 ოქტომბრამდე

ხელშეკრულების საერთო პირობები

. 1 სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ხარისხის კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საქონლის მიწოდების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. გარანტია

41 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი მოხმარების ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. ფასები

5.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებია

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. საქონლის მიწოდების პირობები

1.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით ორი კვირის ვადაში;

1.2. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

2. ანგარიშსწორება

2.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა

2.2. ანგარიშსწორების ვადა: სამი საბანკო დღის განმავლობაში საქონლის მიწოდების შემდეგ.

2.3. მიღებული რაოდენობის დაანგარიშება ხდება მიღებული საქონლის მომენტში

2.4. მიმწოდებელი წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს.

3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 20 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

„შემსყიდველი"

_____ ... ...